მხატვრული რეწვა ადგილობრივი განვითარებისთვის - მიმდინარე პრაქტიკა და მომავლის პერსპექტივები
საერთაშორისო სემინარი (ჰიბრიდული ფორმატი)

14 ოქტომბერი, 2022
სემინარი ტარდება მხატვრული რეწვისა და დიზაინის თბილისის მეოთხე საერთაშორისო სამიტის - ეთნოფესტი 2022 - ის ფარგლებში

მხატვრული რეწვის როლი ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში კარგადაა ასახული საერთაშორისო კვლევებში, მაგრამ მუდმივად ცვალებად სამყაროში მდგრადი განვითარება განუხრელად აწყდება ახალ გამოწვევებს, რომელთა დაძლევაც ინოვაციური მეთოდოლოგიების, მიდგომების და მოდელების შემუშავებას მოითხოვს. ამიტომაც დისკუსია სექტორის პოტენციალზე წვლილი შეიტანოს განვითარების ახალი კურსის დანერგვაში არ კარგავს თავის აქტუალობას. ამავდროულად, საქართველოში, ისევე როგორც რეგიონის სხვა ქვეყნებში, მხატვრული რეწვის როლი ადგილობრივ განვითარებაში ჯერ კიდევ ნაკლებად არის აღქმული და შესაბამისად ნაკლებადაა გაზიარებული ამ მიმართულებით დაგროვილი წარმატებული საერთაშორისო გამოცდილება.

სემინარის მიზანია წარმოაჩინოს მხატვრული რეწვის სექტორის პოტენციალი წვლილი შეიტანოს ისეთ სფეროებში როგორებიცაა: დასაქმება, გენდერული და სოციალური თანასწორობა, სიღარიბის დაძლევა, განათლება ა.შ.; ხელი შეუწყოს აღნიშნულ თემებზე საჯარო დიალოგის გააქტიურებას და სახელმწიფო უწყებებში და განვითარების სააგენტოებში სექტორის როლის აღქმის გაძლიერებას, ასევე ურთიერთსასარგებლო სექტორათაშორისი კავშირების გაძლიერებას. სემინარი წარმოაჩენს მხატვრული რეწვის მჭიდრო კავშირს ადგილობრივ კულტურასთან, მის შემოქმედებით და ინოვაციურ ბუნებას და იკვლევს ამ განსაკუთრებული მახასიათებლების გამოყენების გზებს განსხვავებული ზომის, ეკონომიკის ტიპის, სპეციალიზაციის სასოფლო და საქალაქო ლოკაციების განვითარებისთვის.

- რატომ არის მნიშვნელოვანი მხატვრული რეწვის ინდუსტრია ადგილობრივი მდგრადი განვითარებისათვის?
- რამდენად არის სექტორი წარმოდგენილი მთავრობის და განვითარების სააგენტოების პროგრამებში?
- რამდენად შეუძლია მხატრულ რეწვას ხელი შეუწყოს ახალგაზრდების განვითარებას?
- როგორ შეუძლია სექტორს ითანამშრომლოს სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და სხვა ინდუსტრიებთან კონკრეტული რეგიონების ეკონომიკური განვითარების და მათი იმიჯის შექმნისთვის?
- რა საგანმანათლებლო და კარიერული გამოწვევები უშლის ხელს მხატვრული რეწვის ინდუსტრიას სრულად გამოიყენოს საკუთარი პოტენციალი და მიმართოს იგი ადგილობრივი განვითარებისკენ?

ეს არის მხოლოდ რიგი საკითხებისა, რომელსაც ეძღვნება სემინარი. იგი ღიაა ნაშრომებისთვის, რომლებიც შეეხება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ განხორციელებულ ახალ კვლევებს და ინიციატივებს, საერთაშორისო გამოცდილებას და მაგალითებს, ახალ მეთოდოლოგიებს და მიდგომებს, რომლებიც შეიძლება გაზიარებული იქნას რეგიონალურ დონეზე.

კონფერენციის სამუშაო ენები**:** ქართული და ინგლისური; ხელმისაწვდომი იქნება სინქრონული თარგმანი.
მოხსენებათა თეზისები (250-300 სიტყვა) გთხოვთ გამოგზავნოთ არაუგვიანეს 2022 წლის 1 სექტემბრისა მისამართზე: info@tbilisiethnofest.ge

საერთაშორისო სემინარის ორგანიზატორია „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი“, მხატვრული რეწვის და დიზაინის თბილისის მეოთხე საერთაშორისო სამიტის „ეთნოფესტი 2022“-ის ფარგლებში. სემინარის მხარდამჭერი შემოქმედებითი ევროპის პროექტი Crafting Europe